სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

აღმასრულებელი საბჭოს

სხდომის ოქმი

სხდომის თარიღი: 13 სექტემბერი, 2023
ადგილმდებარეობა: თბილისი, თინათინ ვირსალაძის I ჩიხი, N1

სხდომაზე მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), თორნიკე ბაქრაძე, ია გაბედავა, როინ მიგრიაული, ტარიელ კაკაბაძე. დისტანციურად (ZOOM პლატფორმის გამოყენებით): მარიამ კუბლაშვილი, რაისა ლიპარტელიანი.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

(ა) თამარ აკობიას, ეთერი ნატროშვილის, გიორგი ჭეხანის, ნინო ჩუბინიძის, ნათია ევსტაფიშვილის და ნესტან ანანიძის განცხადებებს გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი. შესაბამისად, მათ მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ სრულად აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს. **აღნიშნულ საკითხზე ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს თამარ აკობიას, ეთერი ნატროშვილის, გიორგი ჭეხანის, ნინო ჩუბინიძის, ნათია ევსტაფიშვილის და ნესტან ანანიძის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.**

(ბ) თეიმურაზ სვანიძის განცხადებას გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებელს წარმოდგენილი აქვს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის 3-თვიანი თეორიული კურსის გავლის დამადასტურებელი ცნობა და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი.

შესაბამისად, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი განცხადება თანდართული დოკუმენტებითურთ აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ “საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებას და თანდართულ დოკუმენტებს. აღნიშნულ საკითხზე ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს თეიმურაზ სვანიძის განცხადება ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ.

(გ) სოფიკო ლეკიშვილის განცხადებას გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებელმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, “პროფესიული ადაპტაციის პროგრამის“ დებულების 15.2. მუხლის შესაბამისად, ადაპტაციის პროგრამის გავლის ვალდებულება არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყეს საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებას და თანდართულ დოკუმენტებს. **აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს სოფიკო ლეკიშვილის განცხადება ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ.**

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

ქეთევან ბერიძის, სიმონ გოგილაშვილის, სალომე კვირკველიას, ქეთევან ბუაძის და ნინო ესიტაშვილის განცხადებებს ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირების მიერ წარმოდგენილ განცხადებებს თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ქეთევან ბერიძის, სიმონ გოგილაშვილის, სალომე კვირკველიას, ქეთევან ბუაძის და ნინო ესიტაშვილის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადების განხილვა.

წევრები გაეცნენ სიმონ გოგილაშვილის, ვალერიან დოლიძის, საბა ელიზბარაშვილის, მარიკა გურგენიძის, ერეკლე კალატოზიშვილის და მარინა კუტუბიძის განცხადებებს “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21^2 მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად წევრობის შეჩერების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21^2 მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს სიმონ გოგილაშვილის, ვალერიან დოლიძის, საბა ელიზბარაშვილის, მარიკა გურგენიძის, ერეკლე კალატოზიშვილის და მარინა კუტუბიძის განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ.

საკითხი 4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის კანონიერ ძალაში შესული განაჩენის ცნობად მიღება.

წევრები გაეცნენ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 14 ივლისის განაჩენს, რომლის თანახმადაც მარინე ჩიმაკაძე (ბაქრაძე) ცნობილ იქნა დამნაშავედ განზრახ მძიმე დანაშაულის ჩადენაში.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ მარინე ჩიმაკაძე (ბაქრაძე) 2006 წლიდან ირიცხება ადვოკატთა ასოციაციის მოქმედ წევრთა ერთიან სიაში. წევრებს ასევე, მიეწოდათ ინფორმაცია, რომ მარინე ჩიმაკაძემ ადვოკატთა ასოციაციას განცხადებით მომართა 2023 წლის 7 აპრილს და შეიცვალა გვარი, რის შემდეგაც გახდა ბაქრაძე.

წევრებმა განაცხადეს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, მე-2 პუნქტის თანახმად, „ადვოკატი არ შეიძლება იყოს განზრახი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლევი პირი, თუ ნასამართლობა არა აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“. ამავე კანონის 21^3 მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადვოკატს წევრობა შეუწყდება თუ მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი განზრახი მძიმე დანაშაულისათვის.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება: ცნობად იქნას მიღებული თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 14 ივლისის კანონიერ ძალაში შესული განაჩენი და მარინე ჩიმაკაძე (ბაქრაძეს) (სიითი N 1036) შეუწყდეს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა.

საკითხი 5. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებების ცნობად მიღება.

წევრები გაეცნენ:

(ა) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ ზურაბ ლორიას მიმართ მიღებულ 2023 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილებას (საქმის #3/5618-22), რომლის თანახმად სარჩელი დაკმაყოფილდა: ბათილად იქნა ცნობილი ადვოკატთა ასოციაციის 2022 წლის 23, 26, 27 და 28 ივნისს ჩატარებული ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგად შესული საჩივრების განხილვის მიზნით შექმნილი სამართლის ექსპერტთა ჯგუფის 2022 წლის 02 აგვისტოს #02 სხდომის ოქმი იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირების N 45 ტესტში ქულის მომატების თაობაზე და ადვოკატთა ასოციაციას დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, რომლითაც ზურაბ ლორიას ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირების N 45 ტესტში მოემატება 1 (ერთი) ქულა. ასევე, ადვოკატთა ასოციაცია დაეკისრა სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 100 (ასი) ლარის ანაზღაურება ზურაბ ლორიას სასარგებლოდ.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ღია კენჭისყრით, ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი გადაწყვეტილება:

(1) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 12 აპრილის (საქმის #3/5618-22) კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს ცნობად და გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, ზურაბ ლორიას N45 ტესტის ნაწილში მოემატოს 1 (ერთი ქულა). შესაბამისად, ზურაბ ლორიას მიერ 2022 წლის 28 ივნისს ადვოკატთა

საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგად მიღებული ქულათა რაოდენობა განისაზღვროს 75 ქულით.

(2) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 12 აპრილის (საქმის #3/5618-22) კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების თანახმად, ზურაბ ლორიას აუნაზღაურდეს სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 (ასი) ლარის ოდენობით.

(ბ) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ თამთა ჟღენტის მიმართ მიღებულ 2023 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებას (საქმის #3/6533-21), რომლის თანახმად სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: ბათილად იქნა ცნობილი ადვოკატთა ასოციაციის 2021 წლის 23, 26, 27, 28 და 29 ივლისს ჩატარებული ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგად შესული საჩივრების განხილვის მიზნით შექმნილი სამართლის ექსპერტთა ჯგუფის 2021 წლის 06 სექტემბრის #02 სხდომის ოქმი იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირების N 93 ტესტში ქულის მომატების თაობაზე და ადვოკატთა ასოციაციას დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, რომლითაც თამთა ჟღენტს ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირების N 93 ტესტში მოემატება 1 (ერთი) ქულა. ასევე, ადვოკატთა ასოციაცია დაეკისრა სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 50 (ორმოცდაათი) ლარის ანაზღაურება თამთა ჟღენტის სასარგებლოდ.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ღია კენჭისყრით, ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი გადაწყვეტილება:

(1) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 17 მარტის (საქმის #3/6533-21) კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს ცნობად და გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, თამთა ჟღენტს N93 ტესტის ნაწილში მოემატოს 1 (ერთი ქულა). შესაბამისად, თამთა ჟღენტის მიერ 2021 წლის 29 ივლისს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგად მიღებული ქულათა რაოდენობა განისაზღვროს 75 ქულით.

(2) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 17 მარტის (საქმის #3/6533-21) კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების თანახმად, თამთა ჟღენტს აუნაზღაურდეს სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 50 (ორმცოდაათი) ლარის ოდენობით.

(გ) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ გიორგი ფარეხელაშვილის მიმართ მიღებულ 2022 წლის 12 მარტის დეკემბრის (საქმის #3/5751-22), რომლის თანახმად სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: ბათილად იქნა ცნობილი ადვოკატთა ასოციაციის 2022 წლის 23, 26, 27 და 28 ივნისს ჩატარებული ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგად შესული საჩივრების განხილვის მიზნით შექმნილი სამართლის ექსპერტთა ჯგუფის 2022 წლის 02 აგვისტოს #02 სხდომის ოქმი იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირების N 47 ტესტში ქულის მომატების თაობაზე და ადვოკატთა ასოციაციას დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, რომლითაც გიორგი ფარეხელაშვილს ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირების N 47 ტესტში მოემატება 1 (ერთი) ქულა. ასევე, ადვოკატთა ასოციაცია დაეკისრა სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 100 (ასი) ლარის ანაზღაურება თამთა ჟღენტის სასარგებლოდ.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ღია კენჭისყრით, ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი გადაწყვეტილება:

(1) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 12 დეკემბრის (საქმის #3/5751-22) კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს ცნობად და გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, გიორგი ფარეხელაშვილს N47 ტესტის ნაწილში მოემატოს 1 (ერთი ქულა). შესაბამისად, გიორგი ფარეხელაშვილის მიერ 2022 წლის 28 ივნისს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგად მიღებული ქულათა რაოდენობა განისაზღვროს 75 ქულით.

(2) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 12 დეკემბრის (საქმის #3/5751-22) კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების თანახმად, გიორგი ფარეხელაშვილს აუნაზღაურდეს სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 (ასი) ლარის ოდენობით.

საკითხი 6. ქეთევან მიქელაშვილის და ნატრული აკობიას განცხადების განხილვა კომიტეტში გაწევრიანების შესახებ.

წევრები გაეცნენ:

(ა) ქეთევან მიქელაშვილის განცხადებას ახალგაზრდა ადვოკატთა კომიტეტში გაწევრიანების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: (1) დაკმაყოფილდეს ქეთევან მიქელაშვილის განცხადება ადვოკატთა ასოციაციის

ახალგაზრდა ადვოკატთა კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე და კომიტეტის დებულების მე-4 მუხლის, 4.4 პუნქტის თანახმად, დამტკიცებულ იქნეს ქეთევან მიქელაშვილის კანდიდატურა ადვოკატთა ასოციაციის ახალგაზრდა ადვოკატთა კომიტეტის წევრად.

(2) გადაწყვეტილების აღსრულება დაევალოს ანალიტიკური და საკომიტეტო საქმიანობის დეპარტამენტის უფროსს.

(ბ) ნატრული აკობიას განცხადებას ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატის პროფესიული უფლებების სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონულ კომიტეტში გაწევრიანების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: (1) დაკმაყოფილდეს ნატრული აკობიას განცხადება ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატის პროფესიული უფლებების სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონულ კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე და კომიტეტის დებულების მე-4 მუხლის, 4.5 პუნქტის თანახმად, დამტკიცებულ იქნეს ნატრული აკობიას კანდიდატურა ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატის პროფესიული უფლებების სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული კომიტეტის წევრად.

(2) გადაწყვეტილების აღსრულება დაევალოს ანალიტიკური და საკომიტეტო საქმიანობის დეპარტამენტის უფროსს.

საკითხი 7. საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის და ა(ა)იპ საქართველოს არბიტრთა ასოციაციის კურსის აკრედიტაციის განაცხადის განხილვა.

წევრები გაეცნენ საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრისა და ა(ა)იპ საქართველოს არბიტრთა ასოციაციის კურსის აკრედიტაციის განაცხადებებს.

მათ მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ორივე განმცხადებლებს წარმოდგენილი აქვთ საჭირო დოკუმენტაცია და აკმაყოფილებენ აკრედიტაციის წესებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ერთხმად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

(1) დაკმაყოფილდეს საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის და ა(ა)იპ საქართველოს არბიტრთა ასოციაციის განცხადებები კურსის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ.

(2) გადაწყვეტილების ასახვა დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

(3) გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოთ განმცხადებლებს.

საკითხი 8. ტრენინგებისა და მართვის საკონსულტაციო გუნდის ინსტიტუციური აკრედიტაციის განაცხადის განხილვა.

წევრები გაეცნენ ტრენინგებისა და მართვის საკონსულტაციო გუნდის ინსტიტუციური აკრედიტაციის განაცხადს.

მათ მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებელს წარმოდგენილი აქვს საჭირო დოკუმენტაცია და აკმაყოფილებს აკრედიტაციის წესებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ერთხმად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

(1) დაკმაყოფილდეს ტრენინგებისა და მართვის საკონსულტაციო გუნდის განცხადება ინსტიტუციური აკრედიტაციის მინიჭების შესახებ.

(2) გადაწყვეტილების ასახვა დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

(3) გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს განმცხადებელს.

საკითხი 9. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების დამტკიცება.

წევრები გაეცნენ მარი ბერუაშვილის, ზვიად ქობალავას, დავით მეზვრიშვილის და დავით კეკენაძის განცხადებებს, ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად დამტკიცების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლები აკმაყოფილებენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 10.1 და 10.2 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

(ა) დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად მარი ბერუაშვილის, ზვიად ქობალავას, დავით მეზვრიშვილის და დავით კეკენაძის კანდიდატურები.

(ბ) გადაწყვეტილების ასახვა სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა რეესტრში დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

საკითხი 10. სხვადასხვა.

წევრები გაეცნენ:

(ა) დავით დუმბაძის განცხადებსა პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირებისგან გათავისუფლების შესახებ.

განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ მას სხვადასხვა დროს გავლილი აქვს 2 წლიანი სტაჟირება ადვოკატებთან, ასევე ამჟამად დასაქმებულია ერთ-ერთ კომპანიაში იურისტის პოზიციაზე. შესაბამისად, ითხოვს რომ 9 თვიანი სტაჟირების პერიოდი გავლილად ჩაეთვალოს და მიეცეს უფლება გახდეს ადვოკატთა ასოციაციის წევრი.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ დავით დუმბაძე იყო პროფესიული ადაპტაციის პროგრამის 2023 წლის საგაზაფხულო ნაკადის მონაწილე და აღნიშნული პროგრამის პრაქტიკული კურსი სრულდებოდა 2024 წლის აპრილში.

მათ განაცხადეს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 1-ლი ნაწილით და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე - 4 მუხლის, 4.1 პუნქტით დადგენილია, რომ პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 12 თვეს. ასევე, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, პირი, რომელსაც აქვს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ, საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემის მოსამართლედ ან/და პროკურორად მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება, მოეთხოვება მხოლოდ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის 3-თვიანი თეორიული ნაწილის გავლა.

ამდენად, აღმასრულებელი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას, დააკმაყოფილოს დავით დუმბაძის განცხადება პროფესიული ადაპტაციის პროგრამის პრაქტიკული კურსის გავლილად ჩათვლის თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდეს დავით დუმბაძის განცხადება ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის პრაქტიკული კურსის გავლილად ჩათვლის თაობაზე.

(ბ) ეთიკის კომისიის მომართვას „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების შესახებ.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომას ესწრებოდა ეთიკის კომისიის თავმჯდომარე - კონსტანტინე გელაშვილი.

წევრებმა განიხილეს ეთიკის კომისიის მომართვა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში შესატან ცვლილებებთან დაკავშრებით.

წევრების მიერ დაისვა კითხვები და გაცემულ იქნა პასუხები.

თავმჯდომარემ წევრებს შესთავაზა, რომ მოწვეულ იქნენ შესაბამისი დარგის ექსპერტები, რომლებიც დეტალურად შეისწავლიან და წარმოადგენენ თავიანთ შეფასებას, მათ შორის, კონკრეტულ საკითხთან დაკავშრებით, რის შემდგომაც საბჭო იმსჯელებს წარმოდგენილი ექსპერტის დასკვნის საფუძველზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: წარმოდგენილი საკითხის სიღრმისეულად შესწავლის მიზნით, მოწვეულ იქნენ შესაბამისი დარგის ექსპერტები.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთაასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე